პარასკევი, 21 დეკემბ. 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი №—282

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით ტფილისში—75 კაპ. ტფილისს გარედ—80 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 5 საათამდე ღირს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს. ინახავს ერთ თვით მხოლოდ დიდი წერილები და ... წერილობით პასუხისათვის საჭიროა ... მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.**

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ».

---

## ყოველ დღიური გაზეთი

# „ისარი"

## მიიღება ხელის-მოწერა 1908 წლისათვის.

გაზეთის ფასი: წლით როგორც ქალაქში, ისე ქალაქს გარედ—7 მანეთი.

ნახევარი წლით " " " "—4 მანეთი.

ერთი თვით " " " "—90 კაპ.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Кочуб. ул. № 14. И. С. Агладзе.

---

**ილარიონ იოსების ძე ელისოვი** შეილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 22 დეკემბერს, დილის 10 საათზე, პეტრე-პავლეს ეკკლესიაში გადახდილი იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

### მარიამ ივანეს ასულის ელისოვის

სულის მოსახსენებლად. (2—524—1)

---

**ტფილისის სახაზინო თეატრი. ოპერის არტისტთა ამხანაგობა**

21 დეკემბერს, საქველმოქმედო წარმოდგენა ტფ. ქალთა მეორე გიმნაზ. მშობელთა წრის სასარგებლოდ ვინჩ. კოპპოლას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

**„ჯიოკონდა"**

ოპ. 4 მოქ. მუს. პანკიელლი.

მონაწ. იღებენ: ქ-ნი კორსაკოვა, ლიუბინსკაია, მარკოვა; ბ-ნნი გავრილოვი, გრინევი, დე-რობერტი, კოპპოლა, კუზმანი, სიბირიაკოვი.

კაპელმეისტერი: **გოლინკინი**. დასაწყისი 8 საათზე.

**ანონსი**: 22. დეკ. 25 წლის იუბილეი რეჟის. ბელსკისა. (0—22)

---

## ძმ. ნიკიტინების ცირკი.



21 დეკემბერს, 1907 წელს, **მალე საღამო** საქველმოქმედო აზრით ტფ. ვ.ქთა 1 ლ გიმნაზიის მშობელთა წრის ქონების გასაძლიერებლად. მონაწილეობას იღებენ ყველანი: საუკეთესო ცხენოსანნი, გიმნასტიკოსნი, ჟონგლიორები, ჰაერში მფრინავნი, ორიგინალური კლოუნები. უკანასკნელად 12 თეთრი კაცი. სე პანტინი, პირამიდა, კორდებალეტი. დასაწყისი $8^1/_2$ საათზე. კასსა ღიაა 11-დან 2 საათამდე და 5-დან წარმოდგენის გათავებამდე დაწვრილებით პროგრამებში. მზადდება წარმოსადგენ.დ ფანტასტიური ფეერი. დირექტორი **აკიმ ნიკიტინი**. (1—517—1)

---

# კახური არაყი

## სავაჭრო სახლის

## „ძმ. სესიევები და ამხ.-"ისა.

ეს არაყი გამოხდილია კარდენახში, იქაურ საუკეთესო ღვინისაგან. დიდი ხნის დაყენებულია და თვისებით არაფრით არ დაუვარდება სამ და ოთხ ვარსკვლავიან კონიაკს. ეს საუკეთესო არაყი დავამზადეთ კონიაკის ადგილას ამ დღესასწაულისათვის. მუშტარს ვურჩევთ შეიძინოს ეს არაყი.

**ვორონცოვის ქუჩა, № 6.** (5—521—1)

---

**მიიღება ხელის მოწერა**

ყოველთვიურ სამეცნიერო პედაგოგიურ და ლიტერატურულ ჟურნალ

**წელიწადი I** „განათლება"-ზე 1908 წელს.

პირველი № ჟურნ.ლ სა გამოვა 1 იანვარს 1908 წ. შემდეგის შინაარსით:

1. განათლება ძალაა. R-სა, 2 ავტობიოგრაფია ილია ჭავჭავაძისა სურათით. 3. ფიქრი და მოგონებანი ილია ჭავჭავაძის შესახებ—**ეგ. გაბაშვილისა**. 4. პედაგოგიური აზრები ილია ჭავჭავაძის თხზულებებში—**ივ. გომელაურისა**. 5. მოკლე შენიშვნები საქართველოში სწავლა განათლების შესახებ—**იდებლიძისა**. 6. დედა-ენა, როგორც საფუძველი სწავლებისა—**ლ. ბოცვაძისა**. 7. პედაგოგ.ის ისტორია ვაიმერისა (გერმ.ნულიდან) **ნ. ლორთქიფანიძისა**. 8. გერმანულ მასწავლებელთა კავშირი—**ა. ყუმისთავლისა**. 9. ბოლგარია და ბოლგარელ მასწავლებელთა კავშირი—**ლ. ბ—ძისა** 10. ხმა სოფლის სამრევლო სკოლის მასწავლებლისა—**გოგებისა**: 11. პოპულარული ლექცია სუხდალცევისა «მებრძოლნი მიწისა და თავისუფლებისათვის ძველ რომში». 12. შინაური მიმოხილვა. 13. რუსეთის ცხოვრებიდან. 14. უცხოეთის მიმოხილვა. 15. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. 16. სამეცნიერო მიმოხილვა და განცხადებანი.

**ჟურნალის ფასი** წლიურად 5 მანეთი, ნახევარი წლით 3 მან., სამის თვით 1 მან. 60 კაპ., ცალკე № 50 კაპ.

**ქუთაისში ჟურნალის შეძენა შეიძლება ის. კვიცარიძესთან წიგნის მაღაზია „იმერეთში".**

ადრესი: ტფილისი ქართული გიმნაზია, ან «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება».

(3—1) რედაქტორ-გამომცემელი **ლ. ბოცვაძე**.

---

კბილის ექიმი

**ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა. (64)

---

**ყურის, ცხვირის და ყელის ექიმი**

**ნ. ა. ატენიანცი**

იღებს ყოველდღე ავადმყოფებს- შუადღის 12—2 ს., საღამოთი 5—7 საათამდე, მიხაილოვის ქუჩა № 114 „ვეტცელის" სასტუმროს პირდაპირ. (50—385—47)

---

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს, საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25- (0—252)

---

**ქ. ქუთაისში**

**ექიმი ჯაფარიძე**

იღებს ყურით, ყელ.ით, ცხვირით და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს. ტფილისის ქუჩა, სახლი თ. ნიკარაძისა. (50—5.—40)

---

თვალის ექიმი

**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 6—7 ს. ვერა ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—475—16)

---

**ელექტრონის და რენტგენის**

**სამკურნალო კაბინეთი**

**მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (0—487—1¹)

---

**ქუთაისში**

კბილის ექიმი

ს. ი. კერესელიძე

გადავიდა **გეგუთის ქუჩაზე** პ. რუხაძის სახლში, (25—ფ.—17)

---

კბილის ექიმი

**ბალარჯაშვილი მათეშვილი**

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 სად. 5—7 ს. ადრესი: მიხეილის ქუჩა, № 37. (25—518—3)

---

ექიმი

**ი. მაჭავარიანი**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

---

ექიმი

**ბ. ნ. მაზაკიანი**

იღებს ავადმყოფებს **შინაგან და ბავშვებისას**. სპეციალური ექიმი **კუჭის და ნაწლავებისა**. მიღება: დილით 12—1 ს., საღამოთი 5—7 ს. მიხეილის პროს, № 36, სახ. ჭავჭანიძისა(25—წლ.

---

**ქ. თელავში**

ექიმი

**ნ გ მრევლოვი,**

მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საზებიო სასწავლებელში და ინტერნად მშობიარეთა სახლში, მიიღებს ავადმყოფთ ყოველ დღე 9—12 საათამდის, ადრესი: ზ. მაჭავარიანის სახლი (ბატონის წყაროზე). (50—413—33)

---

ექიმი

**ა. ნ. დიასამიძე**

**კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს**

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. ს ღამოთი 6—8 საათამდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

---

**ქართული წარმოდგენა არტისტიულ საზ. თეატრში**

პარასკევს, 21 დეკემბერს 1907 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **ორი ახალი პიესა**.

**ბენეფისი ვ. ა. აბაშიძისა**

I

## ხელთათმანი

პიესა 3 მოქ. თხზ. ბიერენსტერნ-ბიერენსტენისა. თარგ. გ. ანანიაშვილისა.

II

## მუქთახორა

სცენები 1 მოქმედ. ვ. ა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ბ. ნებიერიძისა ვ. ჩერქეზიშვილისა, ო. ლეჟავა; ბ-ნნი ზ. ბერიშვილი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, ი. ქივიძე, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, დ. ჩარკვიანი და სხვანი.

დასასრულ **დივერტისმენტი**

მონაწილეობას მიიღებენ: ტ. აბაშიძე, ამალინი (ყიფიანი), ტომიშევიჩი და იმედაშვილი.

ადგილების ფასი საბენეფისოა. დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე

ბილეთები ამ თავითვე იყიდება კასსაში.

მორიგე წევრი გამგეობისა **ბ. გოთუა**. რეჟისორი **ვ. გუნია**.

---

დამზადებულ ტანისამოსის მაღაზიას

# ს. რ. დოვლათოვისას

(გოლოვინის პრ., სახ. მირიმანოვისა, სასახლის პირდაპირ)

აქვს პატივი აუწყოს პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან განზრახულია მაღაზიის გადაკეთება

# დაინიშნა

# დიდი იაფობა

იმ საქონლისა, რაც მაღაზიაშია—ყოველგვარ დამზადებულ ტანისამოსისა იმედი მაქვს, რომ პატივცემული მუშტარი ისარგებლებს შემთხვევით და შეიძენს იაფად უკანასკნელ ფასონის საუკეთესო ტანისამოსს.

(4—ხალ.—1) პატივისცემით **ს. რ. დოვლათოვი**.

---

# თამბაქოს ქარხანა

საა.ქ. საზ. **„მირისა"** ტფილისში.

ურჩევს მუშტარს ახლად გასასყიდად გამოშვებულ პაპიროსებს

# არომატ

## საუკეთესო ხარისხის თამბაქოსას.

10 ცალი 5 კაპ. 25 ცალი 15 კაპ.

საქარხნო მაღაზია სასახლის ქუჩ. ტელ. № 349. (40—415—24)

---

**ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო**

**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

ტელეფონი № 481.

**ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.**

**რუდნევი**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 ს.

**რიდელი**—კანისა, ვენ., სიფილ. ყოველ დღე $1^1/_2$—3 საათ.

**აიზნშვეცი**—ყურისა, ყელ. და ცხვირ. ყოველ დღე 4—5 საათამდე.

**ერმოლაევი**—ბავშ. შინ. ყოველ დღე 1—12 ს.

**პავლოვსკი**—ქირურგ. ყოველ დღე 4—5 ს.

**ახშარუმოვი**—ყურისა, ყელ., ცხვ. ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$ ს. სამშაბ. და პარასკ. გარდა.

**ოთხმეზურიანისა**—ქალ. ავად., ორშაბ., ოთხშ. პარასკ. კვირა 1—2 ს.

**ზოლოტოვსკი**—შინაგ. ჰიპნოზი ყოველ დღე 4—5 ს.

**გორანდოვიჩი**—შინაგ. ყოველ დღე $11^1/_2$—$1^1/_2$ საათ.

**ანიკევი**—ქალთა ავად. ყოველდღე 4—5 ს.

**ჩუდნოვსკი**—ნერვ., სულით, ელექტრ. ყოველ დღე 4—5 ს.

**ჭნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3 ს.

**ნოვიცკი**—ქალ., ბავშ. ყოველ 1—2 ს.

**ნეგშპორნოვი**—კბილისა, ყოველ დღე 10—12 და 3—5 ს.

**გორონზეტოვისა**—მასსაჟი. ყოველ დ. 12—4 ს.

**პივარსკი** — | **ჩუდნოვსკი** — | კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთ გასინჯვა შეთანხმებით. (100—5.—74)

---

**პარასკევს, 21 დეკემბერს**, ქუთაისის საზოგადო საკრებულოში **ქუთ. სათავადაზნაურო გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ** გაიმართება

# საღამო

---

## წარმოდგენა-კონცერტი

**„წერა-კითხვის საზოგადოების"** სასარგებლოდ გაიმართება 1908 წ. იანვრის 22 ს. (3—1)

---

**ქ. ქუთაისში**

**ექიმი ბადრიძე**

ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; **ფილტვების, ხუნაგის და ფუაგილის** **ანარიდებელი აცრა**. დილის 8—12 საათ., საღამოს 4—5 საათზე. პოლიციის ქ. ციციაშვილის სახლი. (15—კვ.—1)

---

ქუთაისში წიგნის მაღაზია

# „იმერეთ"-ში

(წინანდელი „კოლხიდა")

**ი ყ ი დ ე ბ ა**

ახალი ქართული კალენდრები: ამხ. „შრომისა"—35 კ., „დროების კალენდარი"—35 კ., ამხ. „სორაპნისა"—20 კ., კ. თავართქილაძისა—40 კ. (ორნაირია) და რუსული კალენდრები. აქვე იყიდება ყოველნაირი ქართული წიგნი, ჟურნალ-გაზეთი და რუსული ახალი გამოცემა. მაღაზიაშია უმთავრესი საწყობი ახლად გამოცემულ მელიტონ კელენჯერიძის სახელმძღვანელოების: „ქრესტომატია"—85 კ., „თეორია სიტყვიერებისა", „ქართველი მწერლები"—ივ. გომელაურისა—70 კ.; „ჩვენი მწერლები"—ს. გორგაძისა—50 კ. ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება"—50 კ., ახლად გამოცემული მისი დიდი სურათი—40 კ. და სხ. იმერეთში მსურველებს შეუძლიათ დაიკვეთონ ხსენებულ მაღაზიიდან. (5—1)

---

**ქ ა რ თ უ ლ ი წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა**

კვირას, 23 დეკემბერს, **„რენესანსის"** თეატრში (მიხეილის ქუჩა), ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქნება

## უძღების ცხოვრება

დრამა 5 მოქმ. თარგ ბაქრაძისა.

ადგილების ფასი აბაზიდან მანეთ ნახევრამდე.

**დასაწყისი დილის 11 ს.** გამგე **ჯაბიური**.

## სახაზინო თეატრი. საოპერო დასი

### სადღესასწაულო რეპერტუარი

26 დეკემბერს დილით—«რუსლან და ლიუდმილა», გლინკასი.
სალამოთი—«ევგენი ონეგინი», ჩაიკოვსკისა.

27 » დილით — «ასკოლდის საფლავი», ვერსტოვსკისა.
სალამოთი—«ფაუსტი» ვალპ. სალამოთი, გუნოსი.

28 » კოპპოლას მონაწ. «ებრაელი ქალი», გალევისა.

30 » დილით—«ივანე მეფის ძე», ფეერია, მუს. ენდრეიევსკისა და «ფეია ტიკინებისა»—ბალეტი.
სალამოთი—„კარმენი“, ბიზესი.

31 » სალამ.—«ასე სთქვა მეფემ», დელიბასი.

1 იანვარს დილით—«კნიაზ იგორი», ბოროდინისა.
სალამოთი—კოპპოლას მონაწილეობით «ჰუგენოტები», მეიერბერისა.

2 » სალამოთი—«კორნევილის ზარები», პლანკეტისა.

3 » სალამ.—კოპპოლას მონაწ. «ტოსკა», პუჩინისა.

4 » სალამ.—ბენეფ. ოკუნევისა «ბოგემა», პუჩინისა.

6 » დილით—«სნეგუროჩკა», რიმსკი-კორსაკოვისა.
სალამოთი—კოპპოლას მონაწ. «აფრიკელი ქალი», მეიერბერისა.

7 » სალამ.—«ციგნის ბარონი», სტრაუსისა.

ფასები: სალამოთი ჩვეულებრივი, დილით დაკლებული. (4—6.—1)


## ტფილისი, 21 დეკემბერი.

ამას წინად ქართველ სტუდენტების შესახებ ვწერდით. ჩვენის ვარაუდით, ქართველი საზოგადოება, სიღარიბისაგან გაძვალტყავებული ქართველი საზოგადოება, წელიწადში დაახლოვებით ერთ მილიონ მანათს ჰხარჯავს მოზარდ თაობის აღზრდაზე უმაღლესს სასწავლებლებში. ამავე დროს დიდი უმრავლესობა ქართულის სოფლებისა უსკოლოდ არის დარჩენილი, დიდი უმრავლესობა ქართველის ხალხისა უმეცრების ზღვაში იმყოფება. მთელს საქართველოში არც ერთი რიგიანი სასოფლო სამეურნეო სასწავლებელი არ არსებობს. კონტრასტი დიდია, ხოლო იმისი თვალსჩინოება უფრო ცხადი შეიქნება, თუ ვივარაუდეთ და შემდეგ შევუდარეთ ერთმანეთს, საზოგადოებრივი ქველმოქმედების რა ნაწილი ჰხმარდება სტუდენტებს და რა ნაწილი მდაბიო ხალხს.

საზოგადოებრივ ქველმოქმედების ფორმა მრავალია. სტუდენტების და კურსისტკებისთვის დახმარების აღმოსაჩენად ჩვენს ქვეყანაში ქველმოქმედების ყოველი ფორმაა ამოძრავებული: წვრილ-წვრილად ფულის მოკრება ხელის მოწერით, გამართვა წარმოდგენების და კონცერტებისა, რამდენისამე პირის შეამხანაგება და შეკავშირება საერთო წვლილით ერთის ან რამდენისამე სტიპენდიის დასაარსებლად, წოდებრივ ორგანიზაციების შეწირულებანი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, კერძო პირების სტიპენდიები და სხვა. სრული გამოანგარიშება იმისა, თუ რა საერთო ჯამი სდგება ქველმოქმედების ყველა ამ მრავალგვარ ფორმისაგან, შეუძლებელია, მაგრამ თუნდაც მარტოოდენ ის უხვი შეწირულებანი ვიქონიოთ მხედველობაში, რომელთაც სისტემატიური და საჯარო ხასიათი აქვთ, მაშინაც კი დავინახავთ, რომ წელიწადში ასი ათასამდე მანათი სტუდენტების ხარჯისა ქველმოქმედების წყაროდან მომდინარეობს.

პატარა, დამშეული, ღარიბებში სიღარიბით გამორჩეული ქართველი ხალხი და ყოველ წლიური ნებაყოფლობითი, ქველმოქმედების მოტივებით ნაკარნახევი ასი ათასი მანათის გადასახადი სტუდენტების გასაზრდელად უმაღლესს სასწავლებლებში! ასეთი გულუხვობა უმაღლეს განათლების გასავრცელებლად მაშინ, როცა მთელი შემოსავალი „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ 17 ათას მანათს ძლივს უწევს, საშინელი კონტრასტია, მაგრამ დავანებოთ დროებით თავი ამ კონტრასტს და გადავხედოთ სტუდენტებს...

სტუდენტები ყოველთვის საზოგადოებრივ ცხოვრების ბუნებრივს ბარომეტრს წარმოადგენენ. ყოველი ახალი მიმართულება აზრის, სულიერ განწყობილებისა, პოლიტიკურ იდეალების, სოციალურ გრძნობებისა და სხვა ყოვლის უწინარეს უმაღლესს სასწავლებლებში მყოფ მოზარდ თაობის წრეებში სჩნდება. არც საკვირველია: ახალი თაობა ახალ ცხოვრებისთვის ემზადება, იგი საზოგადოების სხვა წრეებსავით არაა გამსჭვალული ძველი ცხოვრების ტრადიციებით, ის სხვაზე ადვილად ეგუება ახალს აზრს, იმის ძარღვებში იმედიანობის სისხლი სჩქეფს, იმას ყოველთვის დიდი იმედი აქვს თავის ძალებისა, იგი უშიშარია და პირდაპირ ჰპობს ამაყის შუბლით ცხოვრების ქაოსს. როგორც მთლად ცხოვრება ბუნებრივად პროგრესსიული პროცესსია, ისევე სტუდენტობაა ბუნებრივად ამ პროცესსის მესვეური.

ასეთია საერთოდ სტუდენტობის ხასიათი ყველგან და ყოველთვის. ერთად ერთს გამონაკლს ქართველი სტუდენტობა წარმოადგენს. დაათვალიერეთ სადაც გნებავთ ქართველ სტუდენტების წრე, დაუფიქრდით იმის სულიერ ინტერესებს, ჩააკვირდით იმის სოციალ-პოლიტიკურ იდეალებს, იმის გულის მიმზიდავ მსოფლმხედველობის მთავარ ძარღვებს და დაეკითხეთ თქვენს თავს, შეიძლება თუ არა მათის ცხოვრების მიხედვით გაითვალისწინოთ საქართველოს ყოფა-ცხოვრების მიმდინარეობა. გულ-წრფელად შეჰხედეთ საგანს და მაშინ ჩემთან ერთად იტყვით, რომ ეს შეუძლებელია. რატომ?—იმიტომ რომ ქართველ მოზარდ თაობას, როცა იგი უმაღლეს სწავლის მისაღებად მიემგზავრება შორეულ ქვეყნებში, **თვით მოქმედ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აღზრდილ სულის მაგიერ, მიაქვს თან დაუწერავი ფიცარი**, tabula ras.—უცხოეთის დიდს საუნივერსიტეტო ქალაქებში ქართველი ახალგაზრდობა ფეხის შედგმის უმალვე იხიბლება იქაურის ბრწყინვალებით, იხიბლება ცოდნის აგზნებულის ინტერესებით, ხელოვნების ფრთა გაშლილის მშვენიერებით, პოლიტიკის დაუოკებელ ძხნეობით, სახალხო მოძრაობის ენერგიით, ალვირ წახსნილ სიტკბოებათა მაძიებლობით, გარყვნილების ეფექტებით და მრავალ სხვა უცხო სანახობით. შემოხვევის და პირად გემოვნების მიხედვით ქართველი ახალგაზრდა მთელის თავის სიყმაწვილის ენერგიით ეწაფება ახლად ნანახ გამაბრუებელ ცხოვრების რომელსამე მხარეს და ეს ცხოვრება თავისუფლად სწნავს ყმაწვილ კაცის სულის დაუწერავს ფიცარზე ჩუქურთმების ფერადს ნაწნავს. რას ჩააქსოვს ეს ახალი, უცხო ცხოვრების ატმოსფერა საქართველოს მოზარდს თაობის გულს—ეს თვით ამ ცხოვრების საქმეა, მაგრამ ჩვენი ახალგაზრდობისთვის კი ეს ცხოვრება ყოველთვის ბაღნარია, სადაც იგი სტუმარივით უდარდელად დანავარდობს და სტუმარივით გარეგნულის მშვენიერებით სტკბება. უმაღლეს სწავლის მისაღებად საქართველოდან გასული მოზარდი თაობა ბუნებრივის აუცილებლობით ცხოვრების ავანტიურისტი ჰხდება, ავანტიურისტი, ამ სიტყვის სრულის მნიშვნელობით. პოლიტიკა გაიტაცებს მას, ხელოვნება, სოციალიზმი, მისტიკური ფილოსოფია თუ პირადი სიამოვნება—ეს განსხვავებას არა ჰქმნის, იგი ყოველთვის ავანტიურისტად რჩება, ყოველთვის გარეგან ბრწყინვალების მიერ მოტივტივებული დაცურავს ცხოვრების ზედაპირზე, ხოლო არსებითად კი იმისი **გული საზოგადოებრივ თვითმოქმედების პროცესსში არ იწვრთნება და არა მტკიცდება.** იგი ასრულებს უმაღლეს სასწავლებლის კურსს, იჯილდოება დიპლომით, მაგრამ საზოგადოებრივობის მხრივ კი სრულიად უწვრთნელი უბრუნდება სამშობლოს პრაქტიკულ ცხოვრების დასაწყებად. ქართველ მოზარდ თაობას მხოლოდ და მარტო ავანტიურიზმი მოაქვს სამშობლოში შორეულ ქვეყნებიდან და ავანტიურისტივით უქმადაც ჰლევს იგი წლითი-წლობით თავის სიცოცხლეს.

რა თქმა უნდა, ჩვენგან აღნიშნული თვისება საყოველთაო აუცილებლობას არ გამოჰხატავს, ოითებზე ჩამოსათვლელი გამონაკლი შემთხვევებიც არსებობენ; რა თქმა უნდა, ყველა ქართველი მოსწავლე უმაღლეს სასწავლებლისა ერთნაირად არ არის დაავადებული ავანტიურიზმით. პირიქით, ამ მხრივ იგინი თვალსაჩინოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან; ვინც უფრო მაღალ კულტურის ცენტრებში იმსახურებენ დიპლომს, ის უფრო მკვახედ განიმსჭვალება ავანტიურიზმით, ვიდრე პატარა ქალაქებში ავანტიული სტუდენტები, მაგრამ ეს ხედარებითი განსხვავებაა, არსებითად კი, ზოგიერთის გამოკლებით, ეს სენი ქართველ სტუდენტობის საერთო სნეულებაა.

ნუ იფიქრებთ, სტუდენტობის გამართახების ჟინი აგვშლოდეს და ამიტომ ვწერდეთ ამ მწარე სიტყვებს. სრულიადაც არა. ქართველს სტუდენტობას კი არა, ჩვენის შეხედულებით, ბრალი იმ მოღვაწეებს ედებათ, რომელთაც თავის საზოგადოებრივ ინდიფერენტიზმის წყალობით მტვრად აქციეს ქართველ ხალხის საზოგადოებრივი თვითმოქმედება და შეუგნებლად გასტკეპნეს თავის სამარცხვინო უმოქმედობით ის ბილიკი, რომელსაც ოცი წელიწადი სთელავს წინ და უკან ახალგაზრდა ქართველი ყმაწვილი კაცი და მაინც საზოგადოებრივობის პრინციპით ჩადედებულ სულის მაგიერ უმაღლესს სასწავლებელში დაუწერავი ფიცარი, telula ras მოაქვს. როცა აქ, ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს მიწა-წყალზე გაჩაღდება საზოგადოებრივი თვითმოქმედება, როცა აქ დაიძლევა საზოგადოებრივი ინდიფერენტიზმი, მაშინ განიკურნება ქართველი სტუდენტობაც ავანტიურიზმისაგან, მანამდე კი...

მანამდის კი ნურავის გაუკვირდება, რომ ამ სტუდენტობას მხოლოდ ერთის მხრივ აინტერესებს საქართველო, სახელდობრ იმ მხრივ, რომ წელიწადში ერთხელ ან ორჯელ თავის სამშობლოს სახელით გროშების მოსახვეჭად „ქართული საღამოები ან სპექტაკლები“ გამართონ და ქართველ ქველმოქმედებისაგან სტიპენდიები მიიღონ. ნურც ის გაუკვირდება ვისმე, რომ კვირა კვირაზე გადის მას შემდეგ, რაც ამ წერილის დასაწყისში აღნიშნულ კონტრასტით აღელვებულებმა ბ. ცაგარელმა საჯაროდ მისცა წინადადება ქართველ სტიპენდიანტ სტუდენტებს, ეხლა მიღებული ფული სწავლის დასრულების შემდეგ გადაუხადონ „წერა-კითხვის საზოგადოებას“—პირველდაწყებითის განათლების გასავრცელებლად საქართველოს ბედშავ მშრომელს ხალხში, კვირა-კვირაზე გადის, მაგრამ „სამშობლოს იმედი“ კი სამარცხვინოდ სდუმს და ხმას არ იღებს, თითქოს ეს წინადადება სრულიად მას არ შეეხებოდეს.

## ვიბორგის მოწოდების საქმე

გუშინ ჩვენს გაზეთში მოყვანილი იყო ანგარიში ვიბორგის მოწოდების საქმის გარჩევისა და მოკლე შინაარსი ზოგიერთ დეპუტატების სიტყვისა. რუსეთის დღევანდელ გაზეთებში დაბეჭდილია გაგრძელება იმ სიტყვებისა, რომლებიც დეპუტატებს წარმოუთქვამთ სასამართლოში. ზოგიერთ მათგანის შინაარსს ჩვენს მკითხველებსაც გაგაცნობთ.

**ნაბოკოვის** სიტყვა. მსგავსად ჩემის ამხანაგებისა, აღვიარებ, რომ სრულიად შეგნებულად წავედი ვიბორგში და ხელი მოვაწერე მოწოდებას. იმ დროსა და ეხლანდელ მომენტის შორის მალიან დიდი განსხვავებაა. თუ გვინდა ჩვენი აქტი კარგად დავაფასოთ, მას აუცილებლად ისტორიულის თვალსაზრისით უნდა შევხედოთ, რადგანაც იგი უკვე ისტორიას ეკუთვნის. თუმცა ამ აქტს აქ მხოლოდ სამოსამართლო თვალსაზრისით იხილავენ, მაგრამ მე მას საზოგადოებრივ თვალსაზრისითაც განვიხილავ, ვინაიდან ორივე მხარე ამა თუ იმ აქტის დაფასებისა ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული.

აქტი, რომლისთვისაც ჩვენ გვასამართლებენ, პირველ სათათბიროს დათხოვნის ხანას ეკუთვნის. პირველ სათათბიროს დათხოვნა კი ჩვენ დავსახეთ აქტად, რომელიც წარმოადგენდა ენლობითი სისტემის იდეის წინააღმდეგ იყო მიმართული: სათათბიროს დათხოვნის დროს გარკვევით არ იყო აღნიშნული, რისთვის ითხოვდნენ მას. მთავრობამ ხელზე დაიხვია ჩვენი აგრარული მოწოდება, მაგრამ იგი რევოლიუციონური აქტი კი არ იყო, არამედ აქტი, რომელიც სათათბიროს კომპეტენციაში შედიოდა. ჩვენ ვეუბნებოდით ხალხს, რომ მან აგვირჩია, რომ აგრარულ საკითხს ხალხის წარმომადგენლები გადასწყვეტავენ, და არა გურკო და სტიშინსკიი. დაითხოვეს სათათბირო, რომელზედაც გამყარებდით მთელს ჩვენს იმედებს, რომელსაც უნდა დაემშვიდებინა, ჩვენის აზრით, ქვეყანა და მშვიდობიან განახლების გზაზე დაეყენებინა. 8 ივლისმა ეს იმედები გაგვიქარწყლა. ჩვენ ვგრძნობდით, რომ საჭირო იყო პროტესტი, ჩვენ ვფიქრობდით, რომ ხალხი ჩვენგან პასუხს მოელოდა, და გავეცით კიდეც პასუხი. ერთის მხრით გვეუბნებიან, ძალიან მოუფიქრებლადა და ქარაფშუტულად მოიქეცით, ვიბორგში რომ წახვედითო; მეორეს მხრით კი ჩვენ აქტს რევოლიუციონურ ყუმბარას ეძახიან. ჩვენთვის კი ეს აქტი არც რევოლიუციონური ყუმბარაა და არც ბავშური, ქარაფშუტული საქციელი. ეს იყო აქტი, რომელსაც სახალხო წარმომადგენლობის არსებობა უნდა დაეცვა. ჩვენ მოქალაქობრივი მოვალეობა შევასრულეთ; ასეთის რწმენით ვიყავით აღჭურვილნი, როდესაც აქ მოვდიოდით, ასეთისავე რწმენით გავალთ აქედან.

ნაბოკოვის სიტყვის შემდეგ სხდომა შესწყდა და მეორე დღისთვის გადაიდო. სხდომის განახლების შემდეგ სოციალ-დემოკრატმა დეპუტატებმა ილაპარაკეს. აქ მხოლოდ ქართველ სოციალ-დემოკრატის, რამიშვილის, სიტყვას მოვიყვანთ.

**რამიშვილის სიტყვა.** ძნელი დასაჯერებელია, რომ აქ პირველ სათათბიროს ასამართლებენ. სულ წელიწად ნახევარმა გაიარა და და ჩვენ, რომელნიც 17 ოქტომბრის მანიფესტის ძალით ქვეყნის განახლებისათვის მოგვიწვიეს, აი ამ სკამებზე გავჩნდით. რა მოხდა? განა ჩვენს პრინციპს ვუღალატეთ? ან იქნება 17 ოქტომბრის მანიფესტის გაუქმება და ისტორიის ჩარხის წაღმა ტრიალი მოგინდომეთ? არა, პირველი წარმომადგენლები ამაში დამნაშავენი არ არიან. ბრალდებას 129 მუხლის ძალითა გვდებენ. როგორ მოხდა, რომ საუკეთესო პირებმა, რომლებიც პოლიტიკურ ასპარეზზე ახლად გამოსულმა ახალ-გაზდა ხალხმა ასეთის ერთსულოვნებით აირჩია, ერთ მშვენიერ დღეს ვიბორგიდან მოუწოდეს ხალხს, უარი ეთქვათ გადასახადებსა და ჯარში გასვლაზე? არა, რათ ჩავიდინეთ ეს საქმე? საბრალმდებლო ოქმი ამაზე არაფერს ამბობს. მაგრამ საქმის ნამდვილ ვითარების გამოსარკვევად, მე შევეხები მთავრობას, რომელმაც სათათბირო დაითხოვა. ორატორი სათათბიროს დათხოვნას „დანაშაულს“ ეძახის.

თავმჯდომარე სიტყვას აწყვეტინებს:

— მე შეუძლებლად მიმაჩნია მაგგვარი კრიტიკა მთავრობის მოქმედებისა, და მით უფრო დათხოვნის აქტისა, რომელიც მონარქის სურვილით მოხდა. გთხოვთ მხედველობაში მიიღოთ ჩემი შენიშვნა, თორემ სიტყვას წაგართმევთ.

ორატორი სიტყვას აგრძელებს:

— გრ. ვიტტეს მოხსენება, რომელიც ამბობს, რომ არსებული პოლიტიკური ფორმები უკვე ვეღარ აკმაყოფილებს რუსეთსაო, მჭევრმეტყველურად ასაბუთებს იმას, რომ ბიუროკრატიასაც კი ვეღარ შეეძლო ბრმად შეეხედა რევოლიუციონურ ტალღისთვის...

უცბად ორატორი სწყვეტავს ლაპარაკს, ფითრდება და ღონემიხდილი სკამზე ვარდება.

— წყალი! სხდომა შესწყვიტეს! წყალი! —ისმის ყოველის მხრიდან.

მოსამართლენი დარბაზიდან გავიდნენ. სხდომა ორი საათით გადაიდო, მაგრამ რამიშვილი განახლების შემდეგაც ვეღარ დაესწრო. სხდომის განახლების შემდეგ კიდევ ბევრმა დეპუტატმა ილაპარაკა, მაგრამ ჩვენ მარტო ბარათაშვილის სიტყვას მოვიყვანთ.

**ბარათაშვილის** სიტყვა. ამ მოწოდებაში არაფერი ახალი არ არის. იგი მხოლოდ ბრძოლის ერთი საშუალებათაგანი იყო. ის მოწოდება ფრაზა, სიტყვები კი არ იყო, არამედ საქმე. მცხოვრებლები იძულებულნი გახდნენ მიემართათ ამნაირის საშუალებისთვის იმიტომ, რომ ჩვენს გაღარიბებულსა და გატანჯულ სამშობლოში უწესოების მეტი არაფერი არსებობდა. მმართველობა მაშინ არ არსებობდა და მცხოვრებლები იძულებულნი გახდნენ შემდგარიყვნენ ბრძოლის პირველ საფეხურზე,—პასიურ წინააღმდეგობისთვის მიემართნათ. პასიური წინააღმდეგობა, რასაც ურჩევდა მოწოდება მცხოვრებლებს, რუსეთის ჩრდილოეთ ოლქებში ფაქტიურად უკვე არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა უკანასკნელ კაპეიკს, უკანასკნელ ტანისამოსს, უკანასკნელ ქვაბს ართმევდა, ხალხი გადასახადებს მაინც არ იხდიდა. ვიბორგის მოწოდება მხოლოდ ამ ბრძოლის სანქცია იყო. რახან ბრძოლა უკვე ცხოვრებაში არსებობდა, ჩვენ მას უკან ვეღარ ჩამოვრჩებოდით. როდესაც მოწოდებას ხელი მოვაწერე, ჩემს წინ აღიმართა კითხვა, რათა ვქენი ეს, ჩემს წინ გადიშალა ახალი რადაც, და ეს ახალი ჯერაც არ ჩამქრალა და არც ჩაქრება ჩემში. ბრწყინვალე სხივოსანი რუსეთი ჯერ კიდევ წინ არის. მე მოვედი აქ არა როგორც ბრალდებული, არამედ როგორც ბრალმდებელი...

თავმჯდომარე აწყვეტინებს ორატორს და ეუბნება, რომ ბრალმდებელის უფლება თქვენთვის არავის მიუცია. ორატორი განაგრძობს:

— ჩვენ თავისუფლებისკენ მივისწრაფოდით; ერთად-ერთი ჩვენი აზრი, ერთად-ერთი ჩვენი მიზანი რუსეთის გაბედნიერება იყო. 8 ივლის დავინახეთ, რომ ამ იმედებს გვართმევენ. როგორ უნდა გვეპატიებინა ეს? მაგრამ საბედნიეროთ, ამ მისწრაფებათა აღმოფხვრა, იმათი მოკვლა ვერავის შეუძლიან, ვინაიდან სინათლის ჩაქრობა შეუძლებელია. მე დარწმუნებული ვარ, რომ მაგ სკამებზე მალე ისხდებიან რუსეთის თავისუფალნი მოქალაქენი, რომელნიც თითონ გაასამართლებენ სოძალადეებს.

## ახალი ამბავი

✦ **დამშეულთა დასახმარებლ.** როგორც ამას წინად აღვნიშნეთ, კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს მდივანმა ბ-ნმა ე. იოსელიანმა მოხსენება წარუდგინა. ბ-ნი იოსელიანი აგონებდა საბჭოს, რომ მთელ ამიერ-კავკასიას დიდი შიმშილი მოელის; ყოველ კუთხიდან ცნობები მოდის ხალხის უკიდურესს მდგომარეობის შესახებ. ამიტომ, მომხსენებლის აზრით, სამეურნეო საზოგადოების საბჭომ უნდა ითავოს და გამოიკვლიოს, თუ რომელი კუთხე რამდენად არის დაზარალებული და შემდეგ იღონოს რამე. ეს მოხსენება საბჭომ თავ. გრუზინსკის თავმჯდომარეობით განიხილა ამ დღეებში. როდესაც ამ ფრიად საჩქარო საქმეს შეეხნენ, საბჭოს უმრავლესობა საკითხს რაღაც უგულოდ მიეგება. ბ-ნმა ქალანთარმა განაცხადა, ჩვენ (სომხებმა) უკვე გამოვიკვლიეთ დამშეული რაიონები და მალე ნამესტნიკსაც წარვუდგენთ მოხსენებას ფულის გადადების შესახებაო. სხდომაზედ მოწვეულმა მ. ზ. ქანანოვმა სთქვა, რომ ქ. ვერმიშევი ადგენს მოხსენებას რუსეთის ბაზარზე პურის მდგომარეობის შესახებ ქალაქის საბჭოში განსახილველად წარსადგენადაო. სხვებს თუმცა ხმა არ ამოუღიათ, მაგრამ როცა თავმჯდომარემ წინადადება მისცა სხდომას, მოხსენება შემდეგისთვის გადავდოთო, სხდომა დასთანხმდა და ამ ფრიად საჩქაროს საქმეს ბოლო მოუღეს. ამიერ კავკასიაში შიმშილია და ეს იქიდანაცა სჩანს, რომ სომხის ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, ქალანთარისა, ზავაროვისა და სხვათა მეთაურობით ნამესტნიკს სთხოვეს 3,600,000 მანეთის გადადება დამშეულ სომეხთათვის. მაშასადამე, სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, სადაც იგივე ქალანთარი და სხვები არიან, ეს საქმე არ უნდა გადაედო.

✦ **დამშეული პედაგოგები.** ცხინვალელ პედაგოგებს ამის წინად, სადაც ჯერ არს გაუგზავნიათ შემდეგი დეპეშა: „შეიბრალეთ ჩვენი ოჯახები. შიმშილით ვიხოცებით. ღმერთს შეხედეთ. გამოგვიგზავნეთ რვა თვით ჯამაგირი“. დღემდე თურმე რვა თვის ჯამაგირი არ მიუღიათ.

✦ **საქველ მოქმედო ბალი** მომავალ წლის 6 იანვარს ტფილისის „კრუჟოკის“ დარბაზში გაიმართება ჩვეულებრივი ბალი ტფ. ქართულ გიმნაზიის სასარგებლოდ. ბალის დიასახლისობა იკისრა კნეინა ი. კ. თუმანიშვილისამ.

✦ **დაკარგული განაჩენი**. ამ დღეებში სოფ. მოხისიდან (ქართლი) ჩამოვიდნენ სოფლის მიერ არჩეული კაცები. ამათ დავალებული აქვთ გამოიკვლიონ, სად არის ის დადგენილება, რომელიც ამ ათის წლის წინად შეუმუშავებია სოფლის ყრილობას. ამ ათის წლის წინად სოფ. მოხისს დაუდგენია, რომ ის სახელმწიფო მამული, რომელზედაც სოფელი მუშაობდა, გაყოფილიყო სულზე 12 წელიწადში ერთხელ. ამ დადგენილებას დასწრებია მიხეილ მაჩაბელი, როგორც სახელმწიფო მამულების გამგე, მაგრამ სოფლის ეს დადგენილება სადღაც გადაუკარგნია სოფლის ერთ ნაწილს, რომელსაც მეორე ნაწილისათვის არ ემეტება სახელმწიფო მამული. ეს სოფელი 148 კომლისაგან შესდგება. ამათში, 87 კომლს სჩაგრავს 61 კომლი. ამორჩეულ კაცებს დაუწყიათ ძებნა სოფლის დადგენილებისა, უნახავთ მიხეილ მაჩაბელიც და შემდეგ გუბერნატორისთვის მიუციათ თხოვნა—გამოიძიოს ეს საქმე. ურიგო არ იქნება, ამ საქმეს ყურადღება მიაქციოს საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულომ. შეიძლება იქ ინახება ის განაჩენი, რომელსაც ასე გაიწვარებით დაეძებენ სოფლის უღარიბეს ნაწილის წარმომადგენელნი.

✦ **გადასახლებულთა სასარგებლოდ.** ვერხნეურალსკში, გადასახლებულთა სასარგებლოდ ქ-ნ ნინო მაისურაძისაგან ჩვენმა რედაქციამ მიიღო ორი მანეთი. ორი მანეთიც ამ ოთხი დღის წინად მივიღეთ. ეს ფული გუშინ გაიგზავნა დანიშნულებისამებრ.

✦ **„ცის ნამი“.** გაზ. „ცის ნამი“ გამოვა კვირაში ერთხელ ორშაბათობით.

✦ **სასინოდო კანტორის პროკურორი.** ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორის

პროკურორად დაუნიშნავთ სინოდის მოხელე ვიკაც ლევიცკი.

✦ **უფულობა.** უფულობისა გამო ქალაქის თვითმართველობის მოხელეებს, მასწავლებლებს და სხვ. ჯამაგირები არ დაურიგდათ.

✦ **უმაღლეს კურსებზე** დღეს, საღამოს 6 საათზე, უმაღლეს კურსებზე კავკასიის შესასწავლად (ალექსანდრ. ბაღი), მოხდება პირველი ლექცია პროფ. ალ. ხახანაშვილისა ქართულ მწერლობის ისტორიაზე. ამ საგანზე ა. ხახანაშვილის მიერ წაკითხული იქნება სულ 11 ლექცია-ყოველ დღე (გარდა დიდ დღესასწაულებისა, 24 და 25 ს დეკემბერს და 1-ს იანვარს), საღამოს 6—7 საათზე.

✦ **განთავისუფლება.** 17 დეკემბერს ავჭალის ქუჩაზე გადაგდებულ ყუმბარის გამო დაპატიმრებულნი თავ. პავლე ტუსიშვილი და იოსებ ბერიაშვილი გუშინ, 20 დეკემბერს, მეტეხის ციხიდან განთავისუფლეს.

✦ **ბანკის გამცარცველნი.** ამ დღეებში პოლიცია, როგორც იმის ცნობებიდან სჩანს, წააწყდა ტფ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამცარცველთა და ამ ბანკის თავმჯდომარის განზიელის მკვლელთა კვალს. 19 დეკემბერს პოლიციელებს გაუჩხრეკიათ ეფემია ძამუკოვისა ვოსკრესენსკის ქუჩაზე და აღმოუჩენიათ ტფ. სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გირავნობის ფურცლები (№ 04422 და 04867), რომელიც გაუტაცნიათ სამეურნეო ბანკის გაცარცვის დროს. გამორკვეულა, რომ ეს გირავნობის ფურცლები ძამუკოვისათვის დაუგირავებია ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებს ლევან სხირტლაძეს. სხირტლაძეს უთქვამს, რომ მართალია, მე დაუგირავე ძამუკოვს, მაგრამ ორი კი არა, 4 ფურცელი, რომელიც მე ქუჩაში ვნახე ბანკის გაცარცვის დღესაო. შემდეგ, პოლიციას ერთი ფურცელი ტფილისის საკრედიტო საზოგადოების ბუღალტერთან დავით ზურაბოვთან უნახავს, ხოლო მეოთხე—აზოვო-დონის ბანკში. უკანასკნელი ფურცელი ბანკისათვის მიუყიდნია „ნახშირას“ საზოგადოების კანტორის მოხელეს სედრაქ კირაკოსიანცს. გამოძიება სწარმოებს.

✦ **ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში.** ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსის ჩიჟიკის სიკვდილის შემდეგ კანტორაში ბევრი რამ საყურადღებო გამოირკვა. განსვენებულს სხვა და სხვა ხარჯისთვის ყოველ წლიურად ათას თუმნამდე ეძლეოდა. მიუხედავად ამისა, მას თურმე ბევრი რამ ნისიად მოჰქონდა, რის გამოც ვალები აღმოჩნდა. შემისა არ აღმოჩნდა მიცემული ასი თუმანი. არ არის მიცემული აგრეთვე ქაღალდის, ნავთის და სხვა წვრილმანის ფული. არ მიუცია მზარეულისთვის აც-კი ათ თუმნამდე.

✦ **ტრამვაი ამაღლების ქუჩასე.** გუშინ გამოსაცდელად გაატარა ვაგონი ერევნის მოედნიდან ამაღლების ქუჩამდე. ამ დღეებში მიმოსვლა კიდეც დაიწყებენ სოლოლაკში. როდესაც სოლოლაკში ლიანდაგის გაყვანეს გადასწყვიტეს, საბჭომ დაავალა უსახელო საზოგადოებას, ნაძალადევშიაც გაიყვანოს შტო. ნაძალადევისაკენ გზის გასაყვანად ჯერ არაფერი განუზრახიათ.

✦ **სამღვდელოების კრება.** 19 დეკემბერს კრებამ სანთლის ქარხნის საქმეების განხილვას მოანდომა. სარევიზიო კომისიამ ყველაფერი წესიერად ნახა ქარხანაში. რუსის მღვდლებმა ამ კრებაზე მოითხოვეს სანთლის ქარხნის სარევიზიო კომიტეტში ერთი წევრი რუსი იყოს. ბერძნებიც შეუერთდნენ. კრებამ ეს ამბავი გაიკვირვა. აღნიშნეს, სხვათა შორის, რომ სულ ერთი წელიწადია, რაც ქარხანა ქართველ სამღვდელოების ხელშია, საქმეები კარგად მიდის, არაფერი გაფუჭებულა და ასეთი წინადადება უნდობლობის ნიშანიაო. კრებამ მაინც მიიღო ამნაირი წინადადება: „რადგან სამღვდელოების საეპარქიო კრება არა სცნობს საჭიროდ სარევიზიო კომიტეტის წევრთა რიცხვის გადიდებას, ამისთვის სტოვებს მას ძველებურად, და თუ ექსარხოსი ისურვებს რუს წევრის მიმატებას, მიუმატოს თავის უფლებით, კრებას საწინააღმდეგო არაფერი აქვს-რა“.

✦ **„ღარიბი ხელოსნები“.** ჩვენმა რედაქციამ შემდეგი ოფიციალური წერილი მიიღო ტფ. ხელოსნოს გამგეობისაგან. „ხელოსანთა მოურავმა მოიწვია ამქართა მამასახლისები და მათთან ერთად მოილაპარაკა შესახებ იმისა, რომ საშობაოდ საჩუქარი მიეცეთ ღარიბეს ხელოსნებს. კრებამ დაადგინა, დამხმარე კასიდან გამოიტანოს ასი მანეთი და დაურიგოს ღარიბ ხელოსნებს, ხელოსანთა მოურავს მ. მ. რაფაელოვს და გამგეობის წევრებს რეეპეცკის და ბახშეკიანცს. ხელს აწერენ: ტფ. ხელოსანთა მოურავი რაფაელოვი და გამგეობის წევრნი რეეპეცკი და ბახშეციანცი“.

✦ **პოლიტიკური საქმე.** 17 დეკემბერს ტფ. ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ტფ. ქალაქის მოხელის ალექსანდრე ნეჩაევისი, რომელსაც ჰბრალდებოდა არა ლეგარულ ლიტერატურის შენახვა. ოლქის სასამართლომ ნეჩაევი დამნაშავედ იცნო და გადაუწყვიტა ერთის წლით დაპატიმრება.

✦ **პატრულები.** გუშინ, 20 დეკემბერს მთელ ტფილისში პატრულების გაძლიერებული რაზმები დადიოდნენ.

✦ ტფ. სასანიტარო სამკურნალო საბჭომ დღესასწაულების მოახლოვების გამო დანიშნა განსაკუთრებული სასანიტარო დასი ერთის ექიმის მეთაურობით, რომელმაც უნდა თვალყური ადევნოს გაჭრობას, რომ უვარგისი სანოვაგე არ გაასაღონ.

✦ 19 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, ანდრეევის ქუჩაზე მეპურე ონისიმე კობერიძეს შეუვარდნენ მძარცველები, რომელთაც დაუცარიელეს დახლი და გაუდგნენ გზას. პოლიცია დაედევნა და ერთი, ალექსანდრე ბალდასაროვი დააპატიმრა. მას აღმოაჩნდა რევოლვერი. ბალდასაროვი გამოტეხა. ამავე საღამოს სამი კაცი შეუვარდა მეპურეს ვასილ კოჭლაძეს ნოვო-არსენალსკაია ქუჩაზე, წაართვა 50 მან. და მიიმალნენ.

✦ 18 დეკემბერს მიხეილის საავადმყოფოში მიიტანეს მუშის გვამი. როგორც გამოირკვა, მუშა ანტონ თათარაძე კვირაცხოვლის ეკლესიასთან კაიმოვის ადგილში მიწას სთხრიდა. მიწა ჩანგრეულა და თათარაძე ქვეშ მოჰყოლია.

✦ ტფ. ქალაქის გამგეობა ყოველ წლობით დღესასწაულებზე ბირგელ აძლევდა სასწავლებლების მოსწავლეთათვის მართავდა გასართობებს. წელს გამგეობა აღარა მართავს, რადგან ქალაქის კასსა ცარიელია.

✦ გორიდან გვატყობინებენ, რომ 10 დეკემბერს ვიღაც ბოროტ-გამზრახველებს რკინის კეტით ადგილობრივ მცხოვრების პეტრე მურადოვის სახლი შეუმტვრევიათ, ფასიანი ქაღალდები და ნივთები გაუტაცნიათ. დაზარალებული ასახელებს იოსებ თერიათკონალს, რომლის სახლშიაც უპოვიათ დაკარგული ნივთები და ქაღალდები.

✦ ოფელ კავთისხევში (გორის მაზრა) ადგილობრივ მცხოვრების, სოსანა ნაცვლიშვილის სახლში შევარდნილან მარტია წიკლაური და ივანე გოგოლაური და ფული მოუთხოვიათ. ხმაურობაზე მოცვივნულან ნაცვლიშვილის ნათესავები, თავ-დასხმელებისთვის თოფები წაურთმევიათ და შეუკრავთ. წიკლაურს გაქცევა მოუსწრია; რამდენსამე ხნის შემდეგ ნიჩბისის მცხოვრები ილიკო კანდელაკიშვილი და რამდენიმე შეიარაღებული კაცი მოუყვანია და ამხანაგების განთავისუფლება მოუთხოვნია. ნაცვლიშვილს, დაუნახავს რა, რომ ცუდს მდგომარეობაში ჩაყენებული შეკრული თავ-დამსხმელები გაუნთავისუფლებია. დაიმალნენ ყველანი გარდა წიკლაურისა, რომელიც დაუტუსაღებიათ.

## პროვინციის ცხოვრება

**სოფ. გუბი** (იმერეთი). ჩვენი სოფლის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა დეტხლის მსხვერპლი შეიქმნა 1905 წლის დამდეგს. ფული, სულ მცირე, მიითვისეს იმ პირთ, რომლითაც ეს სასიქადულო საქმე მოახდინეს, ხოლო საქმეები, დოკუმენტები და სხვ. ნაცრად იქცა. ბევრი ვეცადეთ ამ 2—3 წლის განმავლობაში აღგვედგინა ამხანაგობა, მაგრამ იმის მოლოდინში, რომ ვალები გაბათილდებოდა, ბევრს არა სურდა ამ საქმის ხელის შეწყობა. ბოლოს, როგორც იყო, რამდენისამე კაცის ჩაგონებით სამი თვის წინად შესდგა კომისია. მას უნდა გამოერკვია საქმის ვითარება იმ წიგნებით, რომელიც ყოველ წევრს უნდა ჰქონოდა ამხანაგობის მიერ მიცემული. კომისიას დიდი შრომა დასჭირდა, რომ წევრთაგან შეეტყო, ვის რა ემართა, მაგრამ მეცადინეობამ თავისი გაიტანა და 187 წევრში მარტო შვიდი წევრის ანგარიში დარჩა გამოურკვეველი. 16 ამ თვეს მოხდა ამხანაგობის წევრთა კრება, რომელსაც კომისიამ წარუდგინა მოხსენება საქმის ვითარების შესახებ. კრებამ, ხანგრძლივის კამათის შემდეგ, გადასწყვიტა, განაახლოს ამხანაგობის მოქმედება, დაავალოს ამხანაგობის წევრთ ვალის ათის-თავი და სარგებელი ნაღდ ფულად შეიტანონ, ხოლო საქმის წარმოებისათვის აირჩია დროებითი გამგეობა შემდეგ პირთაგან: ალ. ვაშაკიძე, ან. მოსეშვილი და მიხ. სვანიძე.

იმედი დაიბადა, რომ ამხანაგობა, რომელსაც თავისი კერძი სარგებლობა მოჰქონდა გუბის მკვიდრთათვის, კვლავ განაახლებს თავის მოქმედებას. **პ.**

---

**განჯა.** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თანაშემწემ სლოვინსკიმ 16 დეკემბერს დაასრულა განჯის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექციის რევიზია. აღმოჩნდა, დირექციის საქმის-მწარმოებელი გურტოვოი ყალბი ასიგნაციებით იღებდა ხაზინიდან ფულს; ბევრჯელ მიუღია ფული, მაგრამ დანიშნულებისამებრ არ მოუხმარებია. დამამტკიცებელი საბუთები დირექციაში არ აღმოჩნდა. რამდენი გაუფლანგავს გურტოვოის, დანამდვილებით არ ვიცით, რადგან სლოვინსკის რევიზია საიდუმლოდ არის დატოვებული. მაგრამ, როგორც ქალაქში ხმა დადის, დაახლოვებით 15 ათასამდის არის გაფლანგული. გურტოვოი გაიპარა. პოლიცია გაფაციცებით დაეძებს, მაგრამ კვალს ვერ მიაგნო. დაიკარგა დირექციის ბეჭედი, მიმოწერათი და ბევრი საჭირო საბუთი. დირექციაში ყველაფერი არეულ დარეული აღმოჩნდა. არავითარი წეს-რიგი არა ყოფილა, და არც საკვირველია, რადგან დირექტორად ცნობილი ლევიცკია: 7 წლის მოხუცი, რომელიც 44 წელიწადია რაც მსახურობს და ძლივს-და დაიარება. სასწავლებლები მთელი თვეობით არ იღებდნენ ფულს, ან კი როგორ მიიღებდნენ, როცა ფული დირექციაში იფლანგებოდა! ბევრ ადგილას სწავლა შესწყვეტილიც იყო. საჩივრები ბევრი იყო, მაგრამ ლევიცკი ყურადღებას არ აქცევდა. მგონი ზაფხულში ვიღაცამ დირექციის საქმენი საგმიროი „ზაკავ“-ში აღნიშნა. ლევიცკიმ დიდის რიხით თავი გამოიდო — ყველაფერი ეგ ჭორი და ტყუილიაო. მას შემდეგ საქმე მიუშვა, მაგრამ ახლა რევიზიამ ყველაფერი გამოამჟღავნა. **განჯელი.**

---

**ჭიათურა.** შავი ქვის კრიზისი დღითი დღე მწვავდება. არავის ახსოვს, რომ ჭიათურაში ამოდენა მადანი ყოფილიყოს თავმოყრილი. მეიდნეები აღარსად არის. 60 მილიონ ფუთზე მეტი მადანი დიდი თანხაა, რომ მისი უძრავად ყოფნა ბევრთათვის საგრძნობელი არ იყოს. განახლდა ის დრო, როცა მადნის პატრონი იხვეწება, იყიდეთ ვინმემ ჩემი მადანიო. თუ წარსულის წლის განმავლობაში მეიდნეები იხვეწებოდა, მადანი მომყიდეთო, და ფასსაც დიდს აძლევდა; ეხლა დრაება იცვალა. რამ გამოიწვია კრიზისი, არავინ დაბეჯითებით არ იცის მრეწველთა შორის და ეს გასაკვირველიც არ არის. ჩვენმა მრეწველმა არა იცის-რა იმის მეტი, რაც ჭიათურასა და ქუთაისში ხდება და მსოფლიო ბაზარი იმისთვის ისეთი რამეც მიუწდომელი საგანი გამხდარა, რომ მისი არც ავი იცის, არც კარგი. 6—7 თვის წინად რომ ეკითხათ მრეწველთათვის, მოსალოდნელია თუ არა ფასის დაცემაო, მას სიცილად არც-კი ეყოფოდა. ეხლაც ნახავთ ბევრს ისეთ მრეწველს, რომელსაც ჰგონია ფასი აიწევსო. მაგრამ რაზე ამყარებს ამ მოსაზრებას, თითონაც არ იციან მრეწველთა საბჭოს. დიმილ მარტო ის უნდა ითქვას, რომ მრეწველთა საბჭოს შესაფერად არა აქვს მოწყობილი ცნობების შეკრება მსოფლიო ბაზრის შესახებ.

კრიზისმა თავის ნაყოფი გამოიღო. დიდის ფასებით გაღიდებულმა მრეწველებმა საქმე ფართოდ მოაწყეს, თითონაც ფართოდ დაიწყეს ცხოვრება, ხოლო როცა საქმემ დაიწია, აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ მრეწველთა მოქმედება უბრალო ფართი-ფურთი იყო. ნამდვილად კი დიდ ძალი ვალი დასდებიათ მოიჯარადრეებისა და მუშებისა. დღეიან ეს უკანასკნელნი, სდევენ მრეწველებს ფულის მისაღებად და მარტო მაღალმა ღმერთმა იცის, როდის მოესწრებიან თავისას.

ფოსტამ ხომ სულ გაამწვავა საქმე. ექსპროპრიატორების შიშით თუ სხვა მოსაზრებით ფოსტა კვირაში ერთხელ, ოთხშაბათობით, იძლევა ფულს; ხანდახან საამდღეოდაც არა ჰყოფნის ფოსტას ფული და მუშა ხალხი, ისედაც დაზარალებული კრიზისით, მთელის კვირაობით იხარჯება დუქნებში, რომ თავის ნაშრომ-ნადვაწი მიიღოს. ტელეგრამების მიღების საქმეც უკეთეს ყოფაში არ არის—თუ მოასწარი და მიიღე დეპეშა დილის 8 საათიდან საღამოს 7 საათამდის, ხომ კარგი, და თუ არა, მთელი ღამე უნდა უცადო.

ასე უკვე ჭიათურის ფოსტა მკვიდრს ვიწყდებათ, რომ ფოსტა ჭიათურისათვის არის დაარსებული და არა ჭიათურა ფოსტისათვის.

## სტიპენდიების შესახებ

**(იაკობ გოგებაშვილის წერილის გამო)**

(წერილი რედაქციის მიმართ)

„ისრის“ მე-273 ნომერში მოთავსებული იყო წერილი რედაქციის მიმართ, სადაც ავტორი უსაყვედურებს ქართველ მეცენატთ, რომ სტიპენდიები ენიშნებათ იმათ, ვინც სრულებითაც ღირსნი არ არიან რის გამოც უზრდიან საზოგადოებას ეგოისტებს, უნიჭოებს და ზარმაცებსაო. ამასთან ავტორი საჭიროდა სთვლის, რომ შესდგეს კომიტეტი ექვსისა ან შვიდის კაცისაგან, რომელსაც უნდა მიენდოს ცნობების შეკრება კანდიდატების სიღარიბისა, მათი ნიჭისა და სხვას შესახებ, რომ ეს შეცდომა არ განმეორდეს.

რასაკვირველია, კომიტეტების დაარსება სტიპენდიების განაწილების საქმეში დიდს სარგებლობას მოუტანს სწავლა-განათლების საქმეს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ავტორი წერილისა არ იხსენიებს, თუ რომელ პირთაგან უნდა შესდგეს ეს კომიტეტი, რომელმაც სხვათა შორის, უნდა გამოიკვლიოს და დააფასოს ამა თუ იმ ახალგაზდა ყმაწვილის ნიჭი და უნარი მუსიკაში. მე ვგონებ, ბ. გოგებაშვილს უნდა გამოერჩია იმ მომავალ კომიტეტის საქმეებიდან ის ფუნქცია რომელიც შეეხება ქართველთ მუსიკოსებისთვის სტიპენდიების დანიშვნას.

ქართველმა საზოგადოებამ კარგად უწყის, რომ აგერ თითქმის სამი წელიწადი, რაც ტფილისში არსებობს ქართული ფილარმონიული საზოგადოება, ეს ერთად ერთი სპეციალური მუსიკალური დაწესებულება ჩვენში, რომლის გამგეობასაც ნდობა გამოუცხადა საზოგადო კრებამ, როგორც ავტორიტეტულ დაწესებულებას, სადაც ბევრად თუ ცოტად მომზადებული თითქმის ყველა ქართველი მუსიკოსი იღებს მონაწილეობას (ამ საზოგადოების დამფუძნებელ წევრად სხვათა შორის ითვლება თვით ბ. გოგებაშვილი). საზოგადოების წესდების მე-14 მუხლში ნათქვამი, რომ „Общества ежегодно, на сколько средство позволятъ, воспитываетъ способныхъ молодыхъ грузинъ въ музыкальныхъ училищахъ и консерваторіяхъ въ Россіи, или заграницею для усовершенствованія въ музыкальномъ образованіи“. თუმცა, ჩვენდა საუბედუროდ, როგორც ყოველ ქართულ საზოგადო დაწესებულებაში, უსახსრობის გამო გამგეობას ამ სამი წლის განმავლობაში არავისათვის მატერიალური დახმარება არ აღმოუჩენია, მაგრამ ეს დანაშაულად არ ჩაეთვლება და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თუ აქამდე არ მოხერხდა ეს, ეცდება შემდეგისთვის მაინც წესდების ამ მუხლის განხორციელებას, ჰანამ კი მინდა ვსთქვა, რომ ზემოხსენებული მუხლი ნათლად გვიხატავს, რომ ის პირი, რომელიც მიმმართავს გამგეობას მატერიალურ დახმარებისათვის, მარტო ამ მხრით არ შეხვდება დაბრკოლებას, თავი და თავი ნიჭი იქნება. შესაძლოა, შეძლებაცა ჰქონდეს საზოგადოებას, მაგრამ მთხოვნელს უნიჭობის გამო უარი უთხრას ამრიგად, ამა თუ იმ მთხოვნელის ნიჭის დამფასებელი უნდა იყოს ფილარმონიულ საზოგადოების გამგეობა და არა სხვა. შეიძლება მითხრან, დაგვიმტკიცეთ, თუ რამდენად ავტორიტეტია ფილარ. საზოგადოების გამგეობა ამ საკითხში. ამაზე ვუპასუხებ, რომ გამგეობა შესდგება შვიდის წევრისა და შვიდის კანდიდატისაგან; ამ თოთხმეტ კაცში მომეტებული ნაწილი მუსიკოსები, არიან რომელთაც, ჩემის აზრით, არ გაუჭირდებათ გამოიკვლიონ მთხოვნელის მუსიკალური ნიჭი და შესაფერი დარიგებაც მისცენ. თუ საკმაო არ იქნება, საზოგადოებას ნება ეძლევა ყოველ მუსიკალურ საკითხში მოიწვიოს მუსიკის მცოდნე კერძო პირნი არა ქართველნიც კი. ბ. გოგებაშვილს ყველა ამის გამო არ უნდა ეფიქრნა ახალ კომიტეტების დაარსება სტიპენდიების დახმარების საქმეში, არც კერძო პირების „რეკომენდაცია“ ერჩია და პირდაპირ უნდა მიეთითებინა ფილარმონიულ საზოგადოებაზე, როგორც ზემოთა ვთქვი, ერთად-ერთ ქართულ სამუსიკო დაწესებულებაზედ.

შორს რომ არ წავიდეთ, ამ რამდენიმე დღის წინად გაზეთებში წავიკითხეთ, რომ ძმათა ზუბალაშვილებმა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცეს 6000 მანეთი წელიწადში, რომ მით ფასი შეხედულებით დანიშნოს სტიპენდიები ახალგაზდა ქართველთ, როგორც საშუალო, ისე უმაღლეს სასწავლებლებში. განა ზუბალაშვილებს გაუჭირდებოდათ, რომ ან პირდაპირ თითონ ეგზავნათ სტიპენდიები, ან არა და რამდენიმე ნდობიი აღჭურვილ პირისთვის მიენდოთ ეს საქმე? როგორც საზოგადოებას, ისე ზუბალაშვილებს კარგათა აქვსთ შეგნებული, რომ წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოება სარგებლობს დიდის ავტორიტეტით სწავლა-განათლების საქმეში და ის უფრო ძნელად შესცდება, ვიდრე კერძო პირნი.

ასევე უნდა მოვიქცეთ მემუსიკეთათვის სტიპენდიების დანიშვნის საქმეში. მე დარწმუნებული ვარ, რომ ის საქველმოქმედო საზოგადოები და კერძო პირნი, როგორც მაგ. ტფილისის და ქუთაისის თავად-აზნაურობა, ბ-ნნი „სარაჯიშვილი, ძმ. ზუბალაშვილები და სხვანი დამთანხმდებიან და კეთილ ინებებენ და იმ თანხას, რომელსაც ისინი არ იშურებენ ქართველ მუსიკოსთა სწავლისათვის, გარდასცემენ ფილარ. საზოგადოებას. ამითი ისინი აიცილებენ პასუხის გებას საზოგადოების წინაშე და იმ მადლს, რომელსაც ისინი შვრებიან, მარილიც მოეყრება, როგორც ჩივის ბ-ნი გოგებაშვილი. ეს საშუალები იმისთვის არის სასარგებლო, რომ მაშინ ის ახალგაზდები, რომელთაც ესე ადვილი ჰგონიათ სამუსიკო ხელოვნების შესწავლა და ერთის სულის შებერვით უნდათ, რომ დიდებულ „ბეტხოვენებად და მოცარტებად“ გადაიქცნენ, თვითვე იგრძნობენ თავიანთ უღონობას მუსიკის სწავლაში, დროზედ სხვა საქმეს მოჰკიდებენ ხელს, ტყუილუბრალოდ დროს აღარ დაჰკარგავენ მუსიკის სწავლაში და ამით სწორ გზას გაიკვლევენ ცხოვრებისათვის და უფრო სასარგებლონი გამოვლენ როგორც თავიანთთვის, ისე საზოგადოებისათვის.

**ზაქარია ფალიაშვილი.**

(დასასრული იქნება)

## აფხაზურ ანბანის შესახებ

აფხაზური ენა მეტის-მეტად მდიდარია სხვა და სხვა ბგერებით. სულ აფხაზურ ენაზე, უსლარის გამოკვლევით, 55 ბგერაა (ხმა). რამდენიმე ბგერა უსლარსაც ვერ შეუნიშნავს. ამიტომ ვერც ერთი ალფავიტი და მათ შორის, ვერც რუსული, ვერ გამოხატავს ამდენ ბგერას. თუ აფხაზურ ანბანის შედგენაში უნდა მიეღოთ საფუძვლად უკვე არსებული რომელიმე ანბანი, ეს უეჭველად ქართული ანბანი უნდა ყოფილიყო. ეს იმიტომ, რომ ქართული ენა, ბგერათა სისტემის მხრით, ყველაზე უფრო უახლოვდება აფხაზურს. აი საბუთი: გ, დ, თ, უ, ფ, ქ, ყ, ძ, წ, ჭ, ჯ, ჰ—ყველა ეს ბგერა აფხაზურსაც აქვს. ამას რომ დაუმატოთ ერთი ბგერა, რომელიც იხმარება მეგრულში, და აგრეთვე ძველ ქართულში ხმარებული ხმები, მაშინ კიდევ უფრო დაუახლოვდებით აფხაზურს. მართალია, ამას გარდა აფხაზურში რჩება 12—დის ისეთი ბგერა, რომლების ექვივალენტები არ მოიპოვება ქართულში, მაგრამ რადგან ქართულში მოიპოვება ის ძირეული თანხმოვანი ბგერათა, რომელთა გადასხვავებას წარმოადგენენ ის აფხაზური ბგერანი, რაზედაც აქ ვლაპარაკობთ, ესენი ადვილად დაიწერებოდა ქართულ ანბანის საფუძველზე. მაგალითად, «წ»-ს ზევით „ი“-სავით მიმატება რომ აქვს, ის რომ გავამრგვალოთ, გამოვა ერთი აფხაზური ბგერა და სხ. რუსულ ანბანის საფუძველზე შედგენა აფხაზურ ალფავიტისა მეტს სიძნელესა და ასოების გართულებას მოითხოვს, რაც ეწინააღმდეგება ხალ პედაგოგიურ მოთხოვნილებას. «წ»-ი ახალ აფხაზურ ანბანში т და ц—ნაწილების შეერთებისაგან დაუწერიათ; ასე სხვებიც.

ბევრჯელა მქონია სხვა და სხვა პირებთან იმაზე ლაპარაკი, რომ აფხაზურ ლიტერატურის შექმნაში ქართული ანბანი მიეღოთ. საქმის ერთმა მოთავემ ორი წლის წინად სრული თანხმობაც განაცხადა ამაზე და თან დაუმატა: ეს ორის მხრითაც იქნება სასარგებლო, რადგან ქართველთა და აფხაზთა ერთმანეთის გაცნობის საქმესაც ხელს შეუწყობსო. ეს ის დრო იყო, როცა პოლიტიკანობით არ იყვნენ გატაცებულნი. მაგრამ შემდეგ წამოაყენეს: რუსულ ანბანის მიღება სახელმწიფო ენის შეთვისებას გაგვიადვილებსო. იმას კი არ მიაქცევს ყურადღება, რომ ბგერათა სისტემის მხრით რუსული ასე დაშორებული იყო აფხაზურისაგან, ხოლო ქართული ასე დაახლოვებული აფხაზურთან.

...ამ ძ. შირზე, სადაც გადასწყდა, თუ ...რომელი ანბანი უნდა აეღოთ, სამოხზა... ...ის საბჭოს ერთი წევრი, რომელიც ქარ... ...ლს არა სწყალობს, თურმე იმ აზრისა ...ა, რომ აფხაზებს ლათინური ანბანი ...ეღოთ, მაგრამ ვერც ეს გავიდა. აფხა... ...ებს ის მაინც უნდა გაეხსენებოდათ, რომ ...ავალი აფხაზი ღსმაღლეთშია გადახვეწი... ...ი. ასეა თუ ისე, აფხაზთა და ქართვე... ...თა შორის ისტორიულ ერთობის მოწი... ...აღმდეგეთა აზრი გავიდა. გავიდა იმი... ...ომ კი არა, რომ მეცნიერება და სი... ...ართლე მათ მხარესაა, არამედ იმიტომ, ...ომ მათ ხელშია ძალა.

...რა უნდა ექნა ამ საკითხში დაინტერე... ...ებულ თითო-ოროლა ქართველს, რომე... ...ღთაც აფხაზურიც გვარიანად იციან? უნ... ...ა მიეღოთ თუ არა მონაწილეობა ამ და... ...ახინჯებულ ანბანის შედგენაში? არც მიი... ...ებდნენ მონაწილეობას, მაგრამ არც ახლი ...აიკარა ვინმემ. ის კია რა, გაავრცელეს ...ფხაზებს შორის ხმა: ქართველებს უნ... ...ათ მოგისპონ ენა და ეროვნებაო, იმა... ...ა სურთ თქვენი გაქართველებაო. ასე... ...ის ცრუ მოწმობით და ქადაგებით იმ... ...ენად მოიხიბლა და გაფანატიკოსდა ზო... ...ი, რომ ღვთის წყალობა რომ გეთქვა, ...ვთის წყრომად ჩაგითვლიდნენ. აფხა... ...ებს შორის ზოგი ახლაც არ არის მიმხ... ...ვდარი, თუ საიდან მოელით მათ საფრთ... ...ე, ამათ მართალი ჰგონიათ აფხაზებისა ...და ქართველების მტრების მიერ გავრცე... ...ბული ჭორი. სხვებმა თუმცა იციან რა... ...მია საქმე, მაგრამ კერძო ინტერესებით ...ატაცებულნი, პირად სარგებლობის (ჩინ... ...მენდლების, შემოსავლის) იქით არრას ...დაგიდევენ.

თუ აფხაზები დაფიქრდებიან იმაზე, თუ ...რას უქადის მათ ქართველებთან კავში... ...რის გაწყვეტა და მიიღებენ აფხაზურ წე... ...რა-კითხვისათვის ახლად შექმნილ ქარ... ...თულ ანბანს, რომელიც, როგორც ზ-ნი ...ი. გოგებაშვილი გვჳვახსენებს მრავალ საუ... ...კუნეთა განმავლობაში აფხაზურიც იყო ...და რომელიც ყველაზე უკეთ შეესაბამება ...აფხაზურ ენის ხმებს, მაშინ ქართველებიც ...მმურად ხელს გაუწვდიან მათ და შეძლე... ...ბისამებრ დახმარებას გაუწევენ აფხაზურ ...წერა-კითხვის შემოღების საქმეში.

მაგრამ რადგან, პოლიტიკანების ზედ... ...მოქმედებით, ეს მათ არ ინებეს, ასეთ ...გარემოებაში ქართველებს დარჩენიათ ...მხოლოდ ერთი: უსურვონ აფხაზებს, რომ ...დაწყებული საქმე მათის ეროვნებისათვის ...სასარგებლო გზით წასულიყოს და გაახ... ...სენონ, ძმობა-ერთობა ქართველებთან აფ... ...ხაზებს ხიკეთის მეტს არრას მოუტანს.

პ—ა.

### ილია ჭავჭავაძის ფონდი

რკინის გზის მთავარ სახელოსნოების მუშათა ერთი ჯგუფისაგან ილია ჭავჭავაძის ფონდისთვის მივიღეთ 3 მ. 25 კ. ეს არის თვიური გადასახადი, რომელიც ამ მუშებმა აღუთქვეს ფონდს. ნოემბრისა უკვე შემოტანილი აქვთ. თვიურად, როგორც წინადაც აღვნიშნეთ, იხდიან ფულს შემდეგი მუშები: აბათ შაურს დავ. ლონდარიძე, მ. ქებულაშვილი, ივ. ჭავჭავაძე, პლ. გეგენავა, გიორ. სოლაღაშვილი, მჭედლიშვილი და ხუთ შაურს ნიკ. ქებულაშვილი.

—

ამ სამი-ოთხი დღ ს წინად წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობამ განჯელ ქართველებისაგან ფონდისთვის მიიღო ათი თუმანი.

## რუსეთი

✦ **შეთანხმება ოქტომბრისტებისა და „პოლონელთა კოლო“-სი.** როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, სახელმწიფო სათათბიროში „პოლონელთა კოლო“-სა და ოქტომბრისტებს კავშირი შეუკრავთ. შეთანხმება შემდეგს ნიადაგზე მომხდარა: პოლონელებს გადაუწყვეტიათ მხარი აღარ დაუჭირონ ხოლმე კადეტებს და იმოქმედონ ოქტომბრისტებთან თანხმობით; სამაგიეროდ, ოქტომბრისტებმა მხარი უნდა დაუჭირონ პოლონელებს, როდესაც ისინი ყველა ერებისთვის საშობლო ენაზე სწავლების უფლებას მოითხოვენ და წინადადებას მისცემენ, რომ გააუქმონ წესი, რომლის ძალითაც ლიუბლინისა და სედლეცის გუბერნიებიდან რუსები განსაკუთრებულ დეპუტატს ირჩევენ.

✦ **თავად-აზნაურული აღზრდა ბავშვებისა.** ორიოლის თავად-აზნაურობის რეაქციონურ ნაწილს გამოძიება მოუხდენია, თავად-აზნაურთა პანსიონ-თავშესაფარის შეგირდები თავად-აზნაურობის საწინააღმდეგო აზრებს ხომ არ ითვისებენ და კარგად იცავენ თუ არა წოდებრივ ინტერესებსაო. ერთს მათგანს, ვლადიმიროვს, ქებათა ქება შეუსხამს კატკოვის ლოცვისთვის, საიდანაც იგი, თურმე უკიდურეს მონარქიულ აზრებით აღჭურვილი გამოსულა. დეპუტატთა საკრებულოს გადაუწყვეტია ორასი მანეთი გადასდოს იმისთვის, რომ შეგირდები ატარონ ხოლმე სალოცავად სხვა და სხვა ეკლესიებსა და მონასტრებში.

✦ **ექსპროპრიაცია.** პეტერბურგიდან იუწყებიან, რომ ბეზბოროდნის პროსპექტზე ტრიეცის სადგომში ხუთი შეიარაღებული კაცი შევარდნილა, ტრიეცისა და იმისი ცოლისთვის საშინლად უცემიათ, ფულის ყუთი გაუტეხიათ და 100 მანეთი ფული და 66.000 მანეთი სარგებლიანი ქაღალდები წაუღიათ.

✦ **ფულის გაფლანგვა რკინის გზაზე.** როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ორენბურგ-ტაშკენტის რკინის გზის უფროს ინსპექტორს გორჩაკოვს აღმოუჩენია, რომ მოსამსახურეებს ორი მილიონის ქონება გაუფლანგავთ. თითქმის ყველა მოსამსახურეებს უმაღლესი ადგილები სჭერიათ. ზოგიერთი იმათგანი უკვე დაუთხოვიათ სამსახურიდან.

✦ **ცეცხლი პეტერბურგის სადგურზე.** „რუსკოე სლ.“ გვატყობინებს, რომ ნიკოლოოზის რკინის გზის პეტერბურგის სადგურზე ცეცხლი გაჩენილა. დამწვარა ბაგაჟის განყოფილება ყველაფერით, რაც კი შიგ ინახებოდა. დამწვა აგრეთვე სამი პლატფორმა. საზოგადოთ ზარალი 150 ათას მანეთს აღემატება.

✦ **ეგზამენები საშუალო სასწავლებლებში.** ამ უკანასკნელ ხანებში, როგორც რუსული გაზეთები გადმოგვცემენ, სახალხო განათლების სამინისტროს აუარებელი წერილები მიუღია კერძო პირებისა და სხვა და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებათაგან იმის შესახებ, რომ საშუალო სასწავლებლებში გაუქმდეს ეგზამენები. 8 დეკემბერს, ამ საკითხის გამო სახალხო განათლების მინისტრს გაუმართავს თათბირი, რომელსაც, სხვათა შორის, კაუფმანი და იმისი ამხანაგიც დასწრებია. თათბირის მონაწილეთ გაუსინჯიათ მასალები და აღმოუჩენიათ, რომ ეგზამენებს ძალიან ცუდი შედეგი მოაქვსო. ხუთი წლის განმავლობაში 78 მოსწავლეს თავის მოკვლა განუზრახავს, 136 კაცს თავი მოუკლავს, 290 შეგირდს ნიშნებისათვის უარი განუცხადებია სწავლის გაგრძელებაზე, 4,700 მოსწავლეს თავი დაუნებებია სკოლისთვის იმიტომ, რომ ცუდათ დაუფასებიათ მათი სწავლა და ყოფა-ქცევა, ათი ათასამდის კი სასწავლებლებს თვითონ დაუთხოვნიათ. ამ საკითხის გამოსარკვევათ აურჩევიათ კომისია, რომელმაც თავისი შეხედულება უნდა წარადგინოს არა უგვიანეს მომავალ წლის 15 მარტისა.

✦ **შუამდგომლობა პიესის აკრძალვის შესახებ.** მიუხედავად იმასა, რომ სინოდმა პიესა „შავი ყვავები“ განიხილა და მასში არაფერი საწინააღმდეგო არ დაინახა, სარატოვის ეპისკოპოს გერმოგენს მაინც წარუდგენია მოხსენება სტოლიპინისთვის და პიესის აკრძალვა მოუთხოვნია. სტოლიპინს გადაჭრილი პასუხი არ მიუცია და დაჰპირებია, კიდევ ვიფიქრებ ამის შესახებაო. გერმოგენი ვერ დაუკმაყოფილებია ასეთ პასუხს და ეხლა გავლენიან პირების დახმარებითა სურს სტოლიპინს პიესა აკრძალვინოს.

✦ **ნოლდე და ბეზობრაზოვი.** მინისტრთა საბჭოს წევრს ნოლდეს, როგორც პეტერბურგიდან იუწყებიან, ვაჭრობის მინისტრის ამხანაგობის თანამდებობის ასრულება მიანდეს, ვაჭრობის მინისტრს ბეზობრაზოვს კი—მინისტრის ამხანაგის ზოგიერთ მოვალეობათა ასრულება.

✦ **უბედური შემთხვევა.** სადგურ კრამნოში საქონლის ორი მატარებელი ერთმანეთს დასჯახებია, ოცი ვაგონი დამსხვრეულა, მძიმედ დაჭრილა ორი მაშინისტი და ორი მოსამსახურე.

✦ **პორტ-არტურის საქმე.** პორტ-არტურის საქმის გამოძიება დაიწყო იმის გამორკვევით, თუ რა პირობებში იყო ფორტი № 2. პორუჩიკს სადიკოვს განუცხადებია, რომ აგვისტოში ფორტი ძალიან მოუმზადებელი იყოვო. ჩვენება ჩამოართვეს სხვა მოწმეებსაც. შემდეგი სხდომა 21 დეკემბრისთვის დაუნიშნიათ.

რედაქტორ-გამომცემელი
ე. ბელიშვილი.


## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
### დოქ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წ.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეების გარდა:

**დ ი ლ ი თ:**

**ხ. ა. ნავასარდიანი**; 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**ც. მ. ჩიქოვანი**: $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ც. ი. ზანანიძე**: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ბეგლარიანცი**: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. მუცინოვი**: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გელოვანი**: 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. ი. კარაპეტიანცი**: 1—$1^1/_2$ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შმერლინგი**: $1^1/_2$—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი**: 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. ი. გრიგორიანი**: 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ხ. ა. ნავასარდიანი**.
(ხალ.—181)

✦ МАГАЗИНЪ ✦
„КОМПОЗИЦІЯ“
Тифлисъ, Пушкинскій пассажъ, № 8.



**Громадная экономія**
щведскаго композиціон. бѣлья.
✦ **Носится не менѣе двухъ лѣтъ.** ✦
Постоянный большой выборъ Свѣжаго товара
ВОРОТНИКОВЪ, МАНИШЕКЪ и МАНЖЕТЪ.
Единственный представитель для Баку, Тифлиса и ихъ окрестностей.
**ПО ФАБРИЧН. ЦѢНАМЪ**
Передѣлка въ любой фасонъ безплатно.
**Просятъ не смѣшивать появившіеся въ продажѣ бѣлья изъ поддѣльной композиціи**
Отдѣленіе въ Баку, Кривая ул. противъ фотог. Зелинскаго. (15—11)

მიიღება ხელის მოწერა 1908 წ. სამეწვილო სურათებიან ჟურნალზე:
## „ნაკადული“
(ყოველთვიური)

1908 წელს წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ.

24 წიგნი «ნაკადული» მცირე წლოვანთათვის; 12 წიგნი «ნაკადული» მოზრდილთათვის; ✦ 36 სურათი ცნობილ მხატვრებისა

**დ ა ო რ ი პ რ ე მ ი ა:**

1. კალენდარი ცნობილ მწერალთა სურათებიან დია წერილებით.
2. „პატარა მაწანწალა“ გრინვუდისა.

**წლიურად ორივე გამოცემა ღირს 5 მან.**

ნახევარის წლით 2 მან. და 50 კაპ. ცალ-ცალკე 3 მანეთი

ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ამ თავით—2 მან. 50 კაპ., მაისში—დანარჩენი. რედაქციის ადრესი: **Тифлисъ, Головинскій пр. редал. дѣт. жур. „Н А К А Д У Л И“.**

**რედაქტორი მ. დემურია.** **გამომცემელი თ. პაგ. იოს. თუმანიშვილი.**

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში და წერა-კითხვ. გამავრც საზოგადოების მაღაზიაში (თავად-აზნაურ. ქარვ.). (ნ—4)

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად ჯიბის
## სახალხო კალენდარი 1908 წლის

შედგენილი და გამოცემული მ. გაჩეჩილაძის მიერ.

კალენდარი შეიცავს 272 გვერდს, საშუალო ზომისას; მოთავსებულია შიგ 25 სხვა და სხვა ნახატი და სურათი. თვეთა რიცხვი და უქმეები, ფოსტა-ტელეგრაფი, სამეურნეო და იურიდიული ცნობები, სამზარეულო, სხვა და სხვა საინტერესო ციფრი და გამოკვლევა, სახუმარო გასართობი და სხვა.

**კალენდარი ყველგან ღირება 20 კაპეიკი.** ამას გარდა კალენდრის **მყიდველებს მიეცემათ 200 მანეთის საჩუქარი.** ეს საჩუქარი განაწილებულია შემდეგ ნაირად: 219 მყიდველს კალენდრისას შეჰვდება:

| | | | |
|---|---|---|---|
| 50 | მყიდველს | თხზულებანი თ. მაგმაძისა კალმის მონახაზი—თითო | 25 კაპ. |
| 50 | ,, | ,, ნოე ჟ—ნია, ანარქიზმი . . . | 30 კაპ. |
| 50 | ,, | ,, წერილები საქართველოს შესახებ ისარლოვისა . | 80 კაპ. |
| 5 | ,, | ,, მთელის წლით გაზეთი «ისარი» | |
| 5 | ,, | ,, მთელის წლით სასუმარო ჟურნალი ,,ნიშადური'' | |
| 5 | ,, | ,, მთელის წლით გაზეთი ,,წყარო'' | |
| 1 | ,, | ,, შოთა რუსთაველის დიდი სურათებიანი ვეფხვის ტყაოსანი | |
| 3 | ,, | ,, მთელის წლით ,,ეშმაკის მათრახი'' | |
| 50 | ,, | ,, როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ძველად. კალრიავსკისა—20 კ. | |

კალენდრის მყიდველებს საჩუქარი შეჰხვდებათ შემდეგ ნაირად: 170 კალენდარში ჩადებული იქნება სადარბაზო ბარათი და თვითეულ ბარათზედ აღნიშნული იქნება საჩუქრის რაოდენობა; კალენდარს ოთხივ-კუთხივ ექნება შემოკრული ბანდეროლი; ეს ბანდეროლი ბეჭედ დაკრული იქნება, ასე რომ მყიდველი სანამ ბანდეროლს არ გახსნის და კალენდარს არ გადაშლის, მანამ ვერ გაიგებს—ერგო თუ არა საჩუქარი. ბანდეროლ გახეული კალენდარი გაყიდულად ჩაითვლება და იმისი უკან მიღება აღარ შეიძლება. თუ რომელსამე მყიდველს საჩუქარი შეხვდა, შეუძლიან ეს საჩუქარი მიიღოს პროვინციებში ჩვენ აგენტებთან იანვრის 15 რიცხვიდან 1908 წლის დამლევამდე: გორში—არჩუაძესთან, მიხაილოვში—აფ. ებანოიძესთან, ყვირილაში—„სორაპნის“ მაღაზიაში, ქუთაისში—„იმერეთის“ წიგნის მაღაზიაში, სამტრედიისა და ფოთში—ძ. კახრეიძეებთან, ოზურგეთში—ლორთქ:ნ, ლანჩხუთში—შ. ცინცაძე'თან, ბათუმში—ფირცხალაშვილთან, სოხუმში—მგელაძესთან; ტფილისში კი ქართველთა ამხანაგობის კიოსკში მ. ცაგარელთან. კალენდრები კი იყიდება ს. მერკვილაძესთან, „წერა-კითხვის“ საზოგადოებაში, სპ. ქელიძესთან—ვერაზედ და სხვაგან. (10—6.—3)

აქციონერთა საზოგადოება „გრამოფონი“
ტფილისის განყოფილება
გოლოვინის პროსპექტი, № 9



გრამოფონი პირველია, როგორც
მოდისა და თან საუკეთესო საჩუქარი,
რისთვისაც მზადა გვაქვს მომავალ
### შობის დღესასწაულისათვის

ჩვენის წარმოების საქონელი და ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას მობრძანდნენ საზოგადოების მაღაზიაში: გოლოვინის პროსპექტი, № 9 და დარწმუნდნენ, რომ გვაქვს დიდ-ძალი **ახლად გამოშვებული აპარატები, უკანას კნელ კონსტრუქციისა, მკვიდრის მექანიზმით** სულ ახალ მოდელებისა და ყოველგვარ ასორტიმენტით. **ფ ა ს ე ბ ი** გადაჭრილია რუსეთისა, კავკასიისა და კასპიის იქითა მხრისათვის. ვინც სხვა ფირმის ფირფიტებს ყიდულობს, ზარალობს. მრავალ წელთა აგანმავლობაში შეძენილ რენომეს შესარჩენად ვალდებულად ვრაცხთ ჩვენს თავს არა თუ საუკეთესო საქონელი მივაწოდოთ საზოგადოებას, არამედ, **მოლაპარაკე მაშინის** მოყვარულთა და მეგობართა ინტერესების დასაცველად, უნდა გავაფრთხილოთ კიდეც, რომ ყალბი მაშინები არ შეიძინონ სხვა ფირმებისა, მაგალითად ახალ საზოგადოების მელიდოფონისა. დიდი განსხვავება მელიდოფონის და ჩვენის ფირმის ფირფიტებ შორის ყველასთვის თვალსაჩინოა. სიტყვა „**გ რ ა მ ო ფ ო ნ ი**“ შემკრებელობითი სახელი კი არ არის, არამედ საკუთარი **პატენტიანი** სახელია ჩვენის ფირმის საქონლისა. სიყალბის თავიდან ასაცილებლად ვაქცევთ საზოგადოების ყურადღებას იმას, რომ ჩვენ ნაწარმოების საქონელს აქვს ჩვენი საფაბრიკო ნიშანი.

გრამოფონი ოჯახში არა მარტო გამრთობია, არამედ აღმზრდელიც. უნდა ეძებდეთ **ლირ-სებას** და არა **სიიაფეს**.

მსურველებს შეუძლიანთ მობრძანდნენ მაღაზიაში (გოლოვ., 9) გრამოფონების გამოსაცდელად. კატალოგები და ფირფიტების სია უფასოდ. გვაქვს ფირფიტები სომხურ, ქართულ, სპარსულ-თათრულ და სხვა ენებზე.

საგანგებო ყურადღებას იქცევს განთქმულ მომღერლების ფირფიტებში: ადელინა პატისა, მელბასი, ბორონატის, ცელესტინა ბონისენისა, ზემბრიხის, არნოლდსონის, კურცის, ფიგნერის, გიალდევის, კარუზოს, რუფოს, ბატისტინის, შალიაპინის, სობინოვის და სხვათა.

ჩვენი საზოგადოების ყოველგვარი ნაწარმოები იყიდება ქალაქ ალექსანდროპოლსა და ყარსში „ი. ა. კუნქულოვი და შვ.“-თან. (15—768—7)


სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.